

# შინაური საქმეები

№ 29.

კვირა, ნოემბერი 1, 1909 წ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკა.

აღრისი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

უკველკვირული გაზეთი.

**შინაური:** სოფმ-განმ. „ძმობის“ ბიურა ქვეშ.—ბოსლევლისა სავკლესიო წიგნების შესწორების შესახებ—ხელისა; რას ამბობენ შესანიშნავი აღამიანები ბიბლიის შესახებ? მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას—სანაშინაინსა; გრ. ვოლსკის ხსოვნას—მოწადისა; სასუფიველი ღვისა—ე. ჩ—ძე; სოციალისტური ოცნებები—ნაცარყანელისა; რას აკეთებს სარწმუნოებას მოკლებული სინილისი? ჯორის პასუხი (ლექ.)—z-სა;

უკველკვირულ გაზეთი

## „შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—გაზაკაფის შესახვევში № 17) და სავაჭარქიო საბჭოში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად უოველგვარ განცხადებებს.

ღარჩენ. №№ ახალი ხელის მომწ. დაეთ. 1 მ. ღ 50 კ.

### სარწმუნოებრივ-განმანათლებელ „ძმობის“ ბიურალ ქვეშ!

მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალია წაართვეს, შემცირდა ღვის მეტყველ მოღვაწეთა გუნდი და ბოლოს სრულიად დაიკარგა. არა თუ აღარაფერი იწერება საღვთო და სავკლესიო საგნებზე, არამედ სიტყვითაც არაფერი ისმის. ძველ დროში და ღღესაც განვითარებულ ქვეყნებში, როცა რომელიმე სარწმუნოების ქეშპარიტება ექვს აბადებდა, ან ვინმე ცრუ მოძღვარი ამ ქეშპარიტებათა წინააღმდეგობას იკადრებდა ეკკლესიის ქეშპარიტნი შვილნი ერაზმანეთს უსწრობდენ პასუხას გებაში და მისივე იარაღით ამარცხებენ სარწმუნოების მტერს. არსად იმოღენი წინააღმდეგი არ გამოჩენია ქრისტიანე სარწმუნოებას, რამდენიც დასავლეთ ევროპაში, მაგრამ არც ამდენი ძლევამოსილი გამარჯვება გვინახავს, რამდენსაც აქ ვხედავთ. ცრუ მოძღვართა წინააღმდეგ, გარდა სამღვდლოებისა მხედრდებიან მორწმუნე მსწავლული გუნდნი და მყის აღუმებენ მოწინააღმდეგეთ. იგინი ჰფენენ ფართო საზოგადოებაში სიტყვიერად თუ წერილობით მრთელ საღმრთო აზრებს, იგინი თვით მეცნიერებაში უჩვენებენ სარწმუნოების გამამართლებელ საბუთებს და პირს, უყოფენ უგნურთ. ამიტომ თუმცა ბევრი სარწმუნოების საწინააღმდეგო თხზულებები

## სტამბა

იმერეთის წმ. გიორგის სარწმ.-განმანათ.

### „ძმობისა“

ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირაშვილის სახლში, გუბერნატ. კანცელარიის ქვეშ, ღებულობს უოველგვარ სასტამბო საქმეებს

სელ-მისაქლიმ დასაქმში

ასრულებს სუფთად ღ თავის დროზე.



გამოდის, მაგრამ ქრისტიანობა არ ეცემა, წინააღმდეგ თანდათან ღვივდება, ღრმავდება და სამოციქულო ეკლესიის ხასიათს ღებულოპს (ვევლისხმობთ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ მოძრაობას ინგლისში და გერმანიაში ეკლესიათა შეერთების სასარგებლოთ სამოციქულო მოძღვრების ნიადაგზე), აქ ამ, დალოცვილ კუთხეში, მორწმუნე ადამიანი ყოველ ფეხის გადადგმაზე იპოვნის, რომელიმე ცრუ მოძღვრების საწინააღმდეგო წიგნაკს, რომელითაც აკმაყოფილებს თავის შესწავლულ და შელახულ სარწმუნოებრივ გრძობას.

ამ რიგათ ევროპა საღად რჩება სარწმუნოების მხრით და ის ნაგავი, რომელსაც სამღვთო განცხადების კრიტიკას ეძახიან, იბერტყება ისეთ გაუნათლებელ ხალხში, როგორც ჩვენ ვართ, სადაც მას პასუხს ვერ გასცემენ, სადაც სამღვდელოება დარაჯათ უდგია მხოლოდ თავის კუქს და არა სარწმუნოებას.

სწორეთ ამით აიხსნება დღევანდელი ჩვენი ნასწავლი საზოგადოების სარწმუნოებრივი დაქვეითება. ვისაც კი სასწავლებელში შეუსუნავეს, მდაბალი იყოს თუ მაღალი, სამინისტრო სკოლა თუ უნივერსიტეტი, ვისაც კი ანბანი წაუკითხვს და ამოსაღებზე გადასულა, ყველას პირზე დარვინი, გეკეელი, დელინი, ბებელი და სხვა ამ გვარი და ამისთანა მოძღვრები აკერია ყველა გაურბის ეკლესიას, წირვა-ლოცვას, ზიარებას; შეილებსაც კი არ მონათლავდენ, რომ ამას ცოტა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არ ქონდეს, თუნდა ის, რომ ბავშს მეტრიკულ მოწმობას მოსთხოვენ სკოლაში შესვლის დროს.

ეს უბედურება იქიდგან გამომდინარეობს, ამაზე ლაპარაკი მათ მეტათ მიაჩნიათ, იგინი დიდის სიამოვნებით შესწირავენ მთელ თავის სიცოცხლის უძვირფასეს წამებსაც კი კლუბთეატრებში ვართობას, ვიდრე ერთ წამს შეჩერდებიან სარწმუნოებრივ საკითხებზე.

მაშ დავგრაჩა ისევ სამღვდელოება, რომელიც, ასეა თუ ისე, უნდა ჩაითვალოს ეკ-

კლესიის და სარწმუნოების დამცველ ელემენტად.

მაგრამ შეიძლება ამას ჩვენი დაქსასული და უთაო სამღვდელოება? შესძლებს იგი ღირსეულად დახვდეს და ანგარიში გაუწიოს ევროპიდგან გადმოყრილ ნაგავს? ჩვენ უარყოფითი პასუხს მივცემდით დასმულ საკითხებზე, რომ ჩვენ სამღვდელოებას საკუთარ ცოდნით მუშაობა ქირდებოდეს. ჩვენი სამღვდელოება არ არის მეცნიერულად განვითარებული და ვერც მოვთხოვთ საკუთარი ძალებით გაუმკლავდეს კარზე მდგარ მტერს, მაგრამ ღვთის მადლით შეგვიძლია სხვა ეკლესიების წარმომადგენელებით ვისარგებლოთ. ქეშმარიტება ხომ ერთია და მისი დაცვაც ერთი უნდა იყოს. დასავლეთააღმოსავლეთის მამათა ნაწარმოები სრულ საქმარის მასალას წარმოადგენს უღვთოების და ურწმუნოების წინააღმდეგ საბრძოლველად, მით უმეტეს ჩვენში. ჩვენი სამღვდელოების საქმეა. მხოლოდ თარგმნა და ფართოდ გავრცელება ამ ნაწარმოებთა ხალხში. აქამდის არაფერი ასეთი არ გვექონია და არც გვიფიქრია და ეს არის ჩვენი მიუტყეებელი დანაშაული ღვთისა და საზოგადოების წინაშე. ესევე რომ ეს ვაებატონები ვერ იცნობენ ქრისტეს უკვდავ მოძღვრებას და ქრისტიან აპოლოგეტებსა არ წაუკითხავთ და არ იციან ვასილი დიდი, იოანე ოქროპირი, გრიგორი ღვთის მეტყველი, არ წაუკითხავთ და არ იციან თანამედროვე მეცნიერ აპოლოგეტების მეცნიერული გამოკვლევანი შესახებ სარწმუნოებისა და მის წყაროებისა—ბიბლიისა. არ იციან და იკვებებიან მხოლოდ უარყოფითი კრიტიკის წარმომადგენელთა ნაწარმოებით, რომლებსაც ყოველ ფეხის გადადგმაზე გოდრობით პოულობენ.

მერე ვისი ბრალია ეს უვიცობა საზოგადოებისა, ვინ იყვნენ ვალდებულნი, სულიერი საზრდო. არ მოკლებოდა საზოგადოებას? ეკლესია ზ მისი ხელმძღვანელი სამღვდელოება.

მაგრამ საკუთარი ეკლესია ჩვენ კაი ხანია ადარ გვაქვს, ხოლო სანამ გვექონდა საქმა-

ოდაც იცავდა თავს. ეკლესია, როგორც კრება მორწმუნეთა, იპყრობდა თავის შორის მრავალ კეთილმოღვაწესასულიერო და საერო წოდების შვილთა. რომელიც თავგამოდებით, თავის ყოველი გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური ძალით ემსახურებოდა თავის მშობელ წრეს, ეკლესიას. დღეს მას მოაკლდა (ჩვენში რა თქმა უნდა) და მთლიანად დაელია საერო წოდების წარმომადგენელი. ჩვენ ვგრძელდებით წოდებულ შეგნებულ წარმომადგენლებს აღარ სცხელათ ეკლესიისთვის და სარწმუნოებისთვის, შეიქნება ჩვენ გამანადგურებელ და მომავდინებელ ცოდვად, თუ ეხლავე არ შევიგნებით ჟამთა და დროთა მომასწავებელი ნიშანი. ნაყოფიერ მუშაობისათვის სამღვდელოებას ესაქიროებოდა ისეთი წრე შემდგარიყო, რომლის ბაირად ქვეშ თავი მოეყარა და შეერთებული ძალით გამოსულიყო გარემოდგომილ მტრის წინააღმდეგ. ასეთი წრე უკვე შესდგა და ეს წრეა ახლად დაარსებული სარწმუნოებრივ-განმანათლებელი „ძმობა“, რომელიც ეხლა ხან დაარსდა ქუთაისში. ეს ძმობა თავს უყრის ყველას, ვისაც კი სარწმუნოების დაცვა გულს უწყლავს.

მაშ მის ბაირად ქვეშ მორწმუნენო! ბრძოლა, მედგარი ბრძოლა, თავდადებული ბრძოლა და გამარჯვება უეჭველია, რადგან ბქენი ჯოჯოხეთისანი უძლოურნი არიან ქრისტეს მოძღვრების დემცველ მორწმუნეთა გუნდთან.

თუ ერთმა მღვდელმთავარმა შესძლო მთელი აღმოსავლეთ ეკლესიის მართლმადიდებლობის აღდგენა, უეჭველია რამდენიმე ასი ერთსულოვნებით აღქურვილი სამღვდლოება მეტს იზამს. მხოლოდ საჭიროა არ დაზოგოს არავითარი გონებრივი და ზნეობრივი ძალა და აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება.

ბოსლეველი.

**საეკლესიო წიგნების შესწორების შესახებ.**

ამას წინაღ ხმა გაისმა საქართველოს სინოდურ კანტორამ კომისია შეადგინა ქართული საეკლესიო წიგნების შესწორებლად. ასეთი ხმები უწინაც ხშირი იყო, მაგრამ ხმებად რჩებოდნენ და კომისია არსად ჩანდა. ესდგან ხმა ისმის და თვით კომისია სად არის, ან აკნთებს თუ არა რამეს, კამა არ იცის. ეკლესიაში კი (განსაკუთრებით თბილისის ეკლესიაში) უკვე გაისმის შესწორებული კონდაკით წირვა-ლოცვა. კომისიის ნაწარმოებია ეს შესწორებული კონდაკი, თუ კერძო ზიარებისგან თავის ნებაზე ნამახინჯები, არ ვიცით, მხოლოდ უნდა მოგახსენათ. ჩვენი უური ვერ შეურიგდა ამ შესწორებულ კონდაკს.

ხუმრობა ხამ არ არის ორმოცდა ათი წელიწადი ერთნაირი სიტყვები მესმოდა, შეჩვეული ვიყავი ერთნაირ წირვას, შეზრდილი ვიყავი ერთნაირ სიტყვების განწყობილებას, მათ ფორმებს მესმოდა მათი აზრი, ვგრძნობდი მათ გავლენას ჩემ შინაგან არსებაზე. დღეს კი რადგან ახლად ენით შეღანააკვირებ, ახლად სიტყვები მესმის, რომლებიც არ ეკარებოდა ჩემს გულს, ერთიარობა ჩემ უურებს და არ ვიცი, ეკლესიაში ვდგავარ თუ სხვაგან სადმე. მე ჩემი შთაბეჭდილება ასე დაწერილით მიტომ ავიწერეთ, რომ უთუოდ სხვა მორწმუნეც ასე გრძნობს თავს ამ ახლად წირვაში. უთუოდ ისიც გულწაკლული გამოდას ეკლესიიდან.

ასეთი გარემოება უნდა ავალუბდეს ჩვენ მამებს ერთხილად მოქმედებ უფულ ცვლილებას საეკლესიო წიგნებში და განსაკუთრებით კონდაკში. უმნიშვნელო გრამატიკულ ფორმებს არ უნდა შეეწიროს მორწმუნე აღმთაისის გული და მისი განწყობილება უკვე ნაცნობ და თან შეზრდილ წირვა-ლოცვასთან უფულ შემთხვევაში ასეთ საქმეს აჩქარება არ უნდა. სანამ სწოვადოდ მიდებულნი არ იქნება ესა თუ ის ცვლილება ამა თუ იმ სიტყვებში ან მოქმედებებში, მანამ რომელიმე კერძო მღვდლები ნებას არ უნდა აძლევდნ თავს საუკუნოებით შესისხლხორცებულ მოქმედებებში რაიმე შესწავლას ან გამოაკლას. ასეთი მოქმედება დიდ არეულობას შეიტანს წირვალოცვაში და მღვდელმოქმედებაში.

არ განვიკითხავ, არამედ ვაძვ იღებთბილისის ქვაშეთის ტარის კრებულს, რომელსაც ძალიან ადრე დაუწვია წირვა-ლოცვაში ცვლილების შემოტანა. ერთ დღეს დმერთმა დირსი გამხდა აქ წირვა მომქმინა და სწორი მოგახსენათ დიდი გულ ნატკენი გამოვედი. ეგელა ცვლილებები არ მახსოვს, მაგრამ რაც მახსოვს მოგახსენებთ მ. დიაკონის მოქმედებაში ძრეულ კავაგვირა იმ გარემოებაში, რომ იგი ასამაღლებელის წინ სათქმელ კვერქსში (უფლად წმინდის უხრწნელისა...) რაცა ღვთის მშობელს მოიხსენებდა, ღვთის მშობლის ხატისკენ მიბრუნებულ და მას მიაწერდა ზირჯვარს, ხალხ რაცა ქრისტეს— მაცხოვრის ხატისკენ და მას მიაწერდა ზირჯვარს თითქო ეს ხატები თვით ღვთის მშობელი და მაცხოვარი იუვნოთ. ასეთი მოქმედება არსად გვინახავს და არც ტიპიკონში ამოგვიკითხავს და გვგონია არც შესაფერი იუოს. რეგორც წმ. მამები გვასწავლიან, ქრისტე უხილავად იმყოფება ტრანპეზზე, რეგორც შეფე თავის ქახტზე. აი ამ ქრისტეს უღვაა წინ დიაკონი და მასვე უნდა სცემდეს თავის და არა მის სურათს. ეს იმის ჭკავს უინმე სავგარელი აღმანი წინ გიჯდეს და მის სურათს ეალერსებოდე, ან შეფე წინ გიდგეს და მის სურათს უთაყვანებოდე, სთხოვდე რამეს და თვით შეფეს უურადლებას არ აქტევედე სთხოვრულ კვერქსში ამბობენ აღვასრულათ ვედრება ჩვენი უფლისა მით მართ ნაცვლად აღვუსრულათ ვედრება ჩვენი უფლისა. თუმცა ზირველ თქმულებასაც არაფერი უმაფს და აზრსაც ხატავს, მაგრამ შეორე თქმაც არ არის დასწერი ჩვენი ფიქრით. ჩვენ გვგონია, რომ უკანასკნელი უფრო მკათოდ ხატავს მოწოდების მიზანს. ჩვენ ვაღებუელი ვართ ვევედრათ დმერთს, ე. ი. ღვთის ვედრება ჩვენი ვაღებულება, ვაღებულება ეი უნდა აღვუსრულათ მას, ვის წინაშე ვაღებუელი ვართ. გამოდის ასეთი მოწოდება: მარწმუნენო, აღვუსრულათ ვაღებულობა (=მოთაყვანება) ჩვენი უფლისა! რა არის აქ შესაცვლელი? რა არის უზრო და გადასაცვლები? რას აკეთებს მაგის გადასახინება მის მეტს, რაც უკმხათ არ ხვდება შეუწვეველ უურს.

ჩვენ აქ აზრად არა გვაქვს გავიცხნოთ ვინმე ან კრიტიკა ვუეთთ ვისმეს. ამისათვის საჭიროა ცოდნა, რომელიც ჩვენ არ შეგვექვს, მაგრამ ეს ცოდნა არც

სხვებს შესწევს, რომელთაც დაუწვიათ წიგნების სწორება მით უფრო არ შესწევდა განსვენებულ უფლად სამღვდელთა ჰეტრეს, რომელმაც ადრე საკითხი წიგნების შესწორებასა. ამ საქმისთვის ჩვენ დიდი მომხადება გვჭირდება და არც დღევანდელ საზოგადოების მდგომარეობა გვიწუროს ხელს ესეა ჩვენ სამღვდელთას სულ სხვა მუშაობა სჭირდება: სასარწმუნოების აღდგენა. თუ ეს ვერ შესძლებოთ, წმინდანო მამანო, უნჯობესია ადრევე გამოდრძინდეთ ეკლესიადგანთქვენი შესწორებული კონდაკიით

ხელი.

რას ამბობენ შესანიშნავი აღამიანები

**X** ბიბლიის შესახებ? \*)  
 ი. ვილავისა.

დღეს ისეთ დროს განვიცდით, როცა ზომას გადაცილებული ერთგულებით დამცველნი სამეცნიერო ცოდნათა გაცხარებულად იბვრძვიან სარწმუნოების წინააღმდეგ და ჩვენს რწმენას, რომ ბიბლია უცილობელი ჭეშმარიტებაა და საუკუნოდ მნიშვნელოვანი, როგორც წყარო და კანონი სარწმუნოებისა და ზნეობისა, მზათ არიან უწოდონ სისულელე, მიუტრევებელი განათლებული აღამიანისთვის, რადგანაც მეცნიერებამ, მათი აზრით, ვითომ დამატკიცა, რომ ბიბლია შეიცავს ამ მხრით მრავალს სიცრუესა და ღრმა ცთომებს. მათ არ რცხვენიათ თითქმის თავცდათ დასცინონ ამ წმინდასა და დიდს წიგნს, რომელიც ათასთა წელთა განმაკლობაში იყო კაცობრიობისათვის წყარო სულიერი ნუგეშისიცემისა, ზნეობრივი ძალისა და სარწმუნოებრივ—ზნეობრივ ამალღებისა. მკაფიო ნიმუშს ურცხვი უნამუსობისას ამ მხრით და ამისთან საეკლესიო ისტორიის და ბიბლიის საოცარი უმეტრებისას

\*) თუმცა ამის მსგავსი რამ იბეჭდებოდა ჩვენ გამოცემაში სათაურით „წიგნი წიგნთა.“ მაგრამ ვბოქდავთ ამასაც, რადგან ბევრ ახალ რამეს წარმოადგენს, რითაც აქსებს ნაკლს წინა წერილისას

ჩედ.

წარმოადგენს იენის პროფ. გეკელი თავის წიგნი „მსოფლიო გამოცანები“. გეკელი მოგვითხრობს, რომ პირველ მსოფლიო კრებაზე ყველა ხელთქმებული სახარება დასდევსო მაგიდას ქვეშ იატაკზე და შემდეგ, კრების ლოცვით, ჩვენი ოთხი სახარება ახტენ მაგიდაზე და ამით ვითომ დამტკიცდა მათი სინამდვილეო.<sup>1)</sup> ეს ხომ კეთილ-სინდიერი მეცნიერებისთვის შეუფერებელი ზღაპარია და მეტი არაფერი, რაც გეკელმა ბოლოს კიდევაც გამოსტოვა თვისი წიგნის ინგლისურ გამოცემაში.

მაგრამ ნემენტურ გამოცემაში ის რალსთვისაც წინანდებურად მოთავსებულია, თუმცა სრული ისტორიული სიყალბე ამ მოთხრობისა დაუმტკიცა გეკელს მრავალმა ნემეც ღვთის მეტყველმა. ამგვარი უმნიშვნელო ფასი აქვს სინამდვილის მხრით ზოგიერთ სწავლულ ბუნების მკვლევართა სხვა მრავალ მოგზაურობასაც სარწმუნოებრივ ცოდნისა და საღვთის-მეტყველო მეცნიერების მხარეში. მიუხედავად ამისა ჩვენში მრავალი ადამიანი, მოკლებული ღრმა, მრავალ-მხრივ განათლებას, ზერელედ განათლებული ადვილად ხვდება „თანამედროვე მეცნიერების“ ბაიარლ ქვეშ მოსიარულე ცრუ ცოდნის ანკესს და გეკელის სიტყვათა და მათ მგზავსთა საფუძვლით შეურაცკყოფს ბიბლიას და ამით სურს გამოაჩინოს თვისი თითქო „განათლება“ და გაითქვას საზოგადოებაში „მოწინავეის სახელი“.

საქმის ამგვარ მდგომარეობასთან ჩვენის ფიქრით მეტი არ იქნება შევეცადოთ, ნათლად დავამტკიცოთ, რომ არა მცირე რიცხვი შესანიშნავ ადამიანთა, რომელთაც სრულეებით დამსახურებული სახელი და თითქმის საქვეყნო დიდება აქვთ მოხვეჭილი მეცნიერე-

1) მზავსივე გამოკონილი მოთხრობა აქვს ვოლტერს, რომელიც ვადმოგვცემს, რომ ვითომ ნიკეას კრების შემებმა დააწყვესო ტრაპეზზე გროვა ყველა ნამდვილ და აპოკრიფულ წიგნებისა, მზუზავლედ მმედრებოდენ ღმერთს რომ აპოკრიფულნი ჩამოცუნულიყვნენ ტრაპეზიდან, ხოლო ღვთიერ-ჩაგონებულნი დარჩენილიყვნენ და უცბად მოხდაო ასე.

ბისა და ხელოვნებაში, მაღლად აფასებდა ბიბლიას, უღრმესი მოწიწებით ექცეოდა ამ „წიგთა წიგნს“ და მუხლს იღრეკდა მის სულიერ გავლენისა და მასში მოთავსებულ სწავლის სიმაღლის წინ. ამგვარი ადამიანები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წიგნი, რომელმაც გაძლო მრავალი საუკუნე მიუხედავად მრავალ თავ დასხმისა, რომლის გავლენას აღიარებდენ და აღაარებენ ღვთის უკეთესი ადამიანები მთელი ქვეყნისა, მძებნენ სიკეთისა და სიმართლისა, უნდა შეიცავდეს თვის შორის ქეშმარიტებას.

დავიწყოთ ჩვენი მიმოხილვა ბუნების-მეტყველთაგან. საზოგადოებაში საკმაოდ ძლიერ გავრცელებულია წინასწარ განზრახული მოსაზრება, ვითომ თითქმის ყველა ბუნების-მეტყველი ურწმუნო იყოს და დაუფარავ ზიზღით უყურებდეს საღმრთო წერილის წიგნებს. ნამდვილად კი ასეთი მოსაზრება შორსაა ქეშმარიტებისაგან. სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ბუნების-მეტყველებას, როგორც მეცნიერებას, და სარწმუნოებას შეუძლიათ იცხოვრონ ურთიერთთან მეგობრულად და თანხმობით. უეჭველი ფაქტია, რომ დიდებულ ბუნებისმეტყველებს, რომლებმაც სხვათა უფრო წინ წასწიეს მეცნიერება, თავიანთ ფართო ცოდნასთან ღრმად სწამდათ ღმერთი და მისი გამოცხადება. ღვთისა და რადენია სწავლულ ბუნების-მეცნიერთა შორის გულწრფელად მორწმუნე ქრისტიანე ყრმებრივი სიმარტივით შემთავისებელი საღმრთო გამოცხადების საუკუნო და უცვლელ ქეშმარიტებათა! რანაირი იშვიათი მოწიწებით ექცეოდენ და ექცევიან ბიბლიას მრავალნი შესანიშნავნი ბუნების მკვლევარნი!

ამგვარად ჩინებული ბუნების მკვლევარი ლუა პასტერი († 1895 წ.), რომელმაც მრავალი დიადი რამ აღმოაჩინა ფიზიოლოგიასა და ქიმიაში, ღრმა თავყვანისმცემელი იყო ბიბლიისა, განსაკუთრებით ახალ-აღთქმის სიტყვათა. თვისი დიდების აყვავების ეამსა იგი სწერდა: „ბედნიერია, ვინც ემსახურება სახარებისა სათნოებათა იდიადს! აი წყარო დიად განზრა.“

ხვათა და დიად მოღვაწეობათა.“ სიცოცხლის უკანასკნელ ჟამებში პასტერმა სთქვა: „ბევრი მისწავლია, ამისთვის ისე გულწრფელად მწამს, როგორც ბრეტონელ გლეხს: უფრო დიდი სწავლული რომ გავხდე, ჩემი სარწმუნოებაც ისე გაღრმავდება, როგორც რწმენა ბრეტონელ დედა-ბერისა.“<sup>1)</sup>

ბუნების მკვლევარი ბეტეკი (თანამედროვე ნემენცი სწავლული) ამბობს; „ბიბლია ცხოვრების ხეა, რომლის დიდებულ და მარად ამწვანებულ მწვერვალთან ხან წყნარად ჰქრის ხან ძლიერად ხმაურობს ციური სულიერი ქარი,—ხეა ნაყოფიანი, რომელიც კურნავს ცოდვისგან მოწამლულ ადამიანს და აძლევს მას ღონეს, მიაღწიოს სიმრთელეს და საუკუნო ცხოვრებას. ეს საშინელი და ამავე დროს სასიამოვნო წიგნია, აღსავსე მიუწოდებელ ციურ სიმშვიდითა, სავსე ელვითა და ქუხილითა ძლიერი ღვთისა, რომელიც ადნობს ხალხთა როგორც მკეცე თავის ქურქლებს და რომლის წინ ეს ხალხნი ემზავსებიან ჩაფხე ჩამოკიდებულ წვეთსა; წიგნია სავსე ყოვლად ნაზი და გულითადი ნუგეშინისცემითა და ალტქმითა ღვთისა, რომელიც ზრდის ფრინველთა, აღრაცხავს თმათა თავისა ჩვენისა და აძლევს საწყალ მოვედრე დედას მშვიდობიან ღამეს ავით-ყოფი შვილისათვის; წიგნია, უბრალოდ მხსელი ფრიად ღრმა და დიდი ხნიდან კაცობრიობის მაშფოთარ კითხვებისა; პოემა და ეპოსი, ისე დიდ-შვენიერი და ყოვლის შემცველი, ისე ღრმა და მიღალი, როგორც ადამიანს არასოდეს დაუწერია.“<sup>2)</sup> ეს ხან გარდაცვალებული (1897 წ.) ცნობილი პროფესორი ბუნებისმკვლევარი დრუმონდი ხანდისხან თხოვდა თავის მეგობრებს, რომ ელოცათ მასთან ერთად და წაეკითხათ მისთვის გასაგონად რამე ახალ-ალტქმიდან. „ეს ხომ ერთად ერთი წიგნია,—იტყოდა იგი ახალ-

ალტქმის შესახებ,—რომელსაც ყოველთვის ხელახლად უბრუნდებიან.“<sup>3)</sup>

შესანიშნავი ახალ გეოლოგთაგან დიდი ტიუბინგენელი კვენშტედტი († 1809 წ.) სწერს: „ეს წიგნი (წიგნი შესაქმისა, განსაკუთრებით მოთხრობა ქვეყნის შექმნაზე) შეიცავს ეგზომ კეშმარიტებას, რომ ჩვენ უუძველეს თვალთსაზრისისადმი პატივისცემით გვაქვს კანდიერება დღესაც დავამტკიცოთ: მოსე დიდებული გეოლოგი იყო, საიდანაც უნდა მიეღო მას თვისი ცოდნა გეოლოგიისა. მოსეს სიტყვა, რომ დედამიწაზე ყოვლის უწინ მცენარე გამოჩნდა, დაურღვეველია, რადგანაც სწორედ წყლის მცენარეები ეკუთვნის უმდაბლესს ხარისხს.“ შემდეგ მეოთხე დღეს მზის შექმნის გამო კვენშტედტი ხმობს; „რა კეშმარიტებაა! დედამიწა ხომ—სხეული შედარებით პატარა ზომისა—უნდა გაჩენილიყო უფრო ადრე, ვიდრე მზე—სხეული უშველებელი რაოდენობისა.“<sup>4)</sup>

ცნობილი ამირიკელი სწავლული, გეოლოგი ჯონ დაუსონი, (1820—1901) რომელმაც დიდი შრომა შესწირა ბიბლიისა და მეცნიერების ურთიერთთან, შერიგებას და აგრეთვე ამ მხრით გეოლოგიურ ცოდნათა გამდაბიურებას, ამბობს ბიბლიურ კონსმთგონის შესახებ: „რა დროსაც და ვისაც გინდა ეცადა დაწერა ქვეყნის შექმნის ისტორიისა, ეს ცდა ვერ წარმოადგენდა უფრო მაღალსა და ღირსს რამეს, ვიდრე ბიბლიური მოთხრობა შექმნის შესახებ.“<sup>5)</sup>

გამოჩენილი ვარსკვლავთ მრიცხველის ი. მედლერის შესახებ (1794—1874) მოგვითხრობენ, რომ როცა ახალ ბინაზე გადადიოდა, ყოვლის უწინ იქ ბიბლია გადაიტანა

ა) Smith Leben Drummonds, s. 486.

ბ) Die Schöpfung, Ss. 8 и 29. იხილეთ E. Пфеннигсдорфа „Христось въ соврем. духовной жизни“: Естествоиспытатели, какъ свидѣтели о Богѣ; Бетекса: „Наука и библия“, СПб, 1905, გვერ. 108.

გ) ციტატა ამოღებულია „ქრისტიანულ აპოლოგეტიკიდან“ 5. 3. როდესუფენსკისა. ნაწ. II, გვ. 208.

1) იხილეთ ჟურნალი „Вѣра и Разумъ“ 1901 წ., № 9, გვერდი 370).

2) Die Bibel Gottes Wort. Stuttgart, 1903; S. 43.

და სიტყვა: „ეს წრენი სხვა ყველაფრის წინ უნდა შევიდეს ჩემს სახლში“-ო-“<sup>1)</sup>

ანატომი და ფიზიოლოგი რუდოლფ ვაგნერი (1805—1864) თავის თხუზულებაში „ჩხუბი სულისაგამო“ ამბობს: „უსაკვირველესი და განსაკუთრებით თვისება საღმრთო წერილისა ის არის, რომ იგი შეურყეველად უმტკიცებს რწმენას მისი ღვთაებურ წარმოშობისადმი იმას, ვინც ქეშმარიტი ერთგულობით და გულს მოდგინებით ღრმად აკვირდება მას და მაზე ასწორებს თავის შინაგანს და გარეგანს თავგადასავალს.“<sup>2)</sup>

შესანიშნავი ბუნებისმკვლევარი აკადემიკოსი კ. ე. ბერი (1792—1876), რომელმაც ახალი გზები გაუხსნა ზოოლოგიურ და ანთროპოლოგიურ გამოკვლევას, ყოველთვის დიდი პატივისცემით ექცეოდა ბიბლიას. ერთ თავის თხუზულებაში ამბობს: „თავდასხმა მოსეს ისტორიაზე შექმნის შესახებ სასაცილო ცთომილა, რადგანაც ახალი ბუნების მეტყველება ბერი ხანია, რაც შეურიგდა მას. თუ მთლად ასო-ასოთ არ მივიღებთ ამ ისტორიას, არამედ არსებითად, უნდა აღვიაროთ, რომ ამის უაღმატებულესს არ მოუხწევია ჩვენამდე უძველეს დროიდან და ძნელად თუ შეიძლება შედგენა“. მაგნეტიზმის და ელექტრონის გამოკვლევით გათქმულ ფიზიკოს ანდრია ამპერის შესახებ [1775—1836], არაგო ამბობს „გულისხმიერი კითხვა ბიბლიისა და საეკლესიო მწერალთა ზღუდე იყო მისთვისა, რომ ლათაც ახალგაზდა ფიზიკოსი (რევოლიუციის წლებში) ამბარებდა თავის სარწმუნოებას რყევის წამს“<sup>3)</sup> ამპერი ადასტურებს ქვეყნის შექმნაზე მოსეს თქმულების სიმართლეს, და ამბობს: „ან მოსეს ჰქონია ისეთივე ღრმა ცოდნა მეცნიერებათა, როგორც არსებობს ჩვენს დროს და ან იგი განათლებული იყო ღვთისაგან“<sup>4)</sup>

<sup>1)</sup> Pestalozzi, Die christliche Lehre in Beispielen, S. 53.

<sup>2)</sup> Der Kampf um die Seele, S. 124.

<sup>3)</sup> Вѣра и Разумъ 1901 წ. № 8, გვერ. 336.

<sup>4)</sup> Bev. deux, Mond., Juill, 1833, 193.

დამფუძნებელი პალეონტოლოგიისა კიუ ვე [1769—1832) თავის თხუზულებაში: Discours sur les révolutions du globe“

„მოსემ დაგვიტოვა კოსმოგონია (სწავლა მსოფლიოს შექმნაზე) რომლის დებულებათა ქეშმარიტება საკვირველად მტკიცდება დღითი დღე“.<sup>5)</sup> სწავლულ ბუნების მეცნიერთაგან გადავიდეთ დიდ მათემატიკოსებზე.

**მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საქით ცხოვრების არსებობას.**

(დასასრული).

ამ წამში მე სურათის გადაღებაზე ვლაპარაკობდი. ვისწრაფვი იარაღი დაეყრვი სკეპტიკ ადამიანს; თანახმა ვარ, რომ ძალიან ადვილია ასეთი სურათების განზრახ მიმგვანება, მე კიდევ შორს მივიღვიარ და ვამბობ, რომ თვალთმაქცს (фокусникъ) ყოველთვის შეუძლია მოატყუოს თვით ფრთხილი და უნდო მაყურებელი. ფოტოგრაფიული შუშები, რომლებსაც მე ვხმობ და თითონ ვაცხადებ, დანიშნული მაქვს და ეს გარემოება ცოტადენ გარანტიას იძლევა მოტყუების წინააღმდეგ. მაგრამ თუ მრწამს ასეთი სურათების გადაღების სინამდვილე, ამ შემთხვევაში მე ვაცილებით უფრო დამარწმუნებელი საფუძვლები მაქვს. შეურყეველი დამამტკიცებელი საბუთი სულისგან ვადმოღებულ ფოტოგრაფიისა (სურათის) სინამდვილისა—უწინარეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვღებულობთ სრულიად მსგავს სურათს მიცვალებულისას ისეთ ფოტოგრაფისაგან, რომელმაც სრულებით არაფერი არ იცის ამ პიროვნების არსებობაზე და კიდევ იმაში, რომ ვერც გარეშე მაყურებელი და ვერც თვით ფოტოგრაფი ვერაფერს თვალთ ვერ ხედავს (ე. ი. ვერ ხედავს მას, ვის სურათსაც იღებს).

ასეთი სურათები მე არა ერთხელ მიმიღია არამედ ბევრჯერ. მე მოვიყვან აქ მხოლოდ

<sup>5)</sup> იხილეთ „Наука и Библия“ Ветекса, стр. 107.

ერთ შემთხვევას. ფოტოგრაფი, რომელსაც მისი მედიუმური თვისება ნებას აძლევს გადმოიღოს უხილავი, — უკვე მოხუცებული მხატვარია, რომელსაც არავითარი განათლება არ მიუღია. იმას აქვს ნიჭი ცხად-მხედველობისა და — მე ვიტყვდი — ცხად-მსმენელობისაც. უკანასკნელ ბბრების ომის დროს მე მოვიწახილე მხატვარი და ვთხოვე სენსი გაეკეთებინა, რომ მენახა რა გამოვიდოდა აქედან.

დავჯექი თუარა სკამზე მოხუცის პირისპირ. მან მითხრა.

ამ დღეებში მე შეჯახება მომიხდა. ჩემ სამუშაო ოთახში შემოვიდა მოხუცი ბებერი. იგი თოფით იყო შეიარაღებული, და მისმა მკაცრმა გამომეტყველებამ, ცოტა არ იყოს, შემაშინა. „გამეცალე აქედან. ვუთხარი მას, მე არ მიყვარს ცვეხლ-მფრქვევი იარაღი“. ის წავიდა მაშინ და აი ეხლა ისევ აქ არის. ეხლა უკვე თოფი აღარა აქვს თან და სახის გამომეტყველებასაც აღარ ატყვია ის სიმკაცრე. ნება მივსცე, რომ დარჩეს?

— რასაკვირველია, ვუთხარი მე. როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ თუ არა სურათი გადმოიღოთ?

— არ ვიცი, სთქვა მოხუცმა, — ვსინჯავ. მან მომართა მანქანა. მე ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ სანამ შუშას გამოიღებდა, ვკითხვი:

— პირველად შენ მასთან გილაპარაკებია. შეგიძლია ეხლაც დაელაპარაკო?

— დიახ, ის ჯერ ისევ შენს უკან დგას.

— გიპასუხებს, რომ რამე ჰკითხო?

— არ ვიცი, ვსინჯავ.

— ჰკითხე რა ჰქვია.

ფოტოგრაფმა ისეთი გამომეტყველება მიიღო თითქოს ვილაპარაკებებოდა და პასუხს ელოდა. შემდეგ სთქვა:

— ის ამბობს, პიეტ ბოტა მქვიაო.

პიეტ ბოტა? დავეჭვდი. მე ვიცი ფილიპე, ლიუდოვიკო, ხრისტიანი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვა ბოტა, მაგრამ პიეტ ბოტას არსებობაზე არაფერი გამიგონია.

— ის ამბობს, რომ ჩემი სახელი ეს არისო, პირქუშით მომიგო მოხუცმა.

როცა მან შუშა გამოიღო და გარეცხა, მე დავინახე ჩემს უკან მაღალი, ბანჯგელიანი კაცის სახე, რომელიც ერთნაირად ჰგავდა ბურსაც და რუსის მუეიკსაც. მე ამის შესახებ არაფერი მითქვამს ომის გათავებამდის. როცა გენერალი ბოტა ლონდონში მოვიდა, მე ვავუგზავნემას სურათი ბ. ფიშერის ხელით, რომელიც დღეს ყოფილი ორანჯეს რესპუბლიკის პირველი მინისტრია. მეორე დღეს ჩემთან მოვიდა ვესსელი, მეორე სახელმწიფოს დელეგატი.

— საიდგან იშოვნეთ თქვენ ის სურათი, რომელიც ფიშერს მიეცით? მკითხა მან.

მე დაწვრილებით მოუყევი ზემო აღწერილ ამბავი. მან თავი გაიქნია.

— მე არ მწამს მოჩვენება. მითხარით ხუმრობის გარეშე, საიდგან იშოვეთ ეს სურათი. ეს კაცი არასოდეს არ სცნობდა ულიამ სტედს: მისი ფეხი არ დადგმულა ინგლისში.

მე უკვე მოგახსენეთ, საიდგან გაჩნდა ეს სურათი ჩემ ხელში, ვუთხარი მე, თქვენ, რასაკვირველია, შეგიძლიათ, არ მენდოთ, მაგრამ რათ აგრე ფიცხობთ?

— მიტომ რომ ეს კაცი ერთი ჩემი ნათესავთაგანია. მე მაქვს მისი სურათი.

— მართლა? წამოვიძახე მე. მკვდარია?

— ის იყო პირველი ბურების ბელადთაგანი, რომელსაც მოიკლა კიმბერლის ალყის დროს... პეტრუს ბოტა, დაუმატა მან, მაგრამ ჩვენ შემოკლებით პიეტს ვეძახოდით.

სურათი ჩემ მფლობელობაში დარჩა, იგი აღიარებულ იქმნა თავისუფალ სახელმწიფოს სხვა დელეგატებიდგანაც, რომლებიც იცნობდნენ პიეტ ბოტას. ასეთი ფაქტი თავის დღეში არ აიხსნება ტელეპატიით. მხოლოდ უბრალო შემთხვევის წყალობით მე მივმართე ფოტოგრაფსა და ვთხოვე გამოეკითხა, ხომ არ ეტყოდა სული თავის ვინაობას. არაფერი ინგლისში არ იცნობდა პიეტ ბოტას და არც არაფერი იცოდა მის არსებობაზე, რადენადაც მე ეს შემეძლო გამომერკვია.



IV

კიდევ ერთი სიტყვა. უკანასკნელ თუთხმეტი წლის განმავლობაში მე ბევრი დამამოწმებელი ფაქტები მივიღე პირველი ხელიდან (ე. ი. თვითმხილველი პირისაგან), რომლებმაც დამარწმუნეს, რომ პიროვნება განაგრძობს არსებობას სიკვდილ შემდეგაც და რომ შესაძლებელია დამოკიდებულება ვიქონიოთ მიცვალებულთან. მაგრამ მე ყოველთვის ვეუბნებოდი ჩემ თავს:

— მოვიციდი, სანამ ვინმე ჩემი ოჯახის წევრი არ გადავა საიქიოს, და მხოლოდ მაშინ საყოველთაოდ განვაცხადებ ჩემ რწმენას ამ საგანზე-მეთქი.

და აი, ერთი წელი გავიდა, და გადიცვალა ჩემი უფროსი შვილი, რომელიც მე აღვზარდე იმ იმედით, რომ გამეხადა ჩემ მემკვიდრეთ. იგი გადიცვალა 33 წლის. ჩვენ ძრიელ ახლო დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთთან. არავის არ შეეძლო ჩემი მოტყუება ყალბი წერილებით ვითომდა ჩემი ძვირფასი მიცვალებულისაგან. მისი სიკვდილის შემდეგ გავიდა ერთი წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში ისე არ გაუვლია კვირას, რომ გამამხნევებელი და დამამშვიდებელი წერილი არ მიმეღო მისგან, ვინც ეხლა უფრო ახლოა ჩემთან, ეხლა უფრო გულითადაა, მოყვარულია ჩემი, ვიდრე უწინ.

ამ ბოლო თვეებში მე ბევრი ვიმოგზაურე საზღვარ გარეთ და უფრო ხშირად ვღებულობდი მისგან ამბავს, ვიდრე სიცოცხლეში. მე ჩემი ხელით არ ვწერდი ამ ამბებს. მე ძალიან კარგად ვიცნობდი მიცვალებულს და ჩემი დაწერილი, შეიძლება, ჩვენი ყოფილი ლაპარაკის გამოხმაურება იქნებოდა. ამიტომ იგი მწერდა მე ორი რწმუნებული პირს ხელით. ყველა ეს წერილები გაქდენთილია მისი ხასიათის თვისებებით, მისი აზრების სახით; მისი პიროვნება ისეთივე სხანს მათში, როგორც სიცოცხლის დროს დაწერილ ბარათებში.

ამის შემდეგ მე აღარ მაქვს არავითარი ეჭვი.

ჩემთვის საკითხი გადაწყვეტილია, კეშმარიტება დაყენებულია. და მოხარული ვარ შემთხვევის, აღვიარო, რომ მე ამის შემდეგ არ შემიძლია დავეთანხმო არავითარ საწინააღმდეგო საბუთს, არავითარ უარყოფას ამ საქმეში.

ასე ათავებს სტედი თავის წერილს და, იმედია, კიდევ ბევრ ამბებს გადმოგვცემს შემდეგში თავის დაკვირვებიდან და ჩვენც არ გავუშვებთ აღუნიშნავად არც ერთ ფაქტს, თუ ხელი მიგვიწვდა. თუმცა ესეც საკმარისია დასარწმუნებლად, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ კაცის ბუნება და განსაკუთრებით ჩვენი შინ გაზრდილი ათვისებისა!—მე ვსთხოვ ყველას, ვინც კი გულით ურწმუნოა და ეს ურწმუნოება მეცნიერებაზე დაუფუძნებია, ხმა ამოიღოს და თავისებურად აგვიხსნას ეს საოცარი ამბები.

სანმანიანი,

გ. ვოლსკის ხსოვნას.

ვარსკვლავი მოწყდა ცისა კამარას... მთებს გადაეკრა შავი ღრუბელი; კიდევ დააკლდა სამშობლო კერას დუხჭირ ცხოვრების მნათი კანდელი.

ბუღბუღი ვარდზე აფრქვევს მწუხარე, მდულარე ცრემლებს გულ-დაკოდილი. ბნელმა წყვდიადმა მოიკცა არე,— მალლა დაფრინავს უნდო სიკვდილი..

ყვავი, არწივი მსხვერპლებს იტაცებს, ქუჩაზე სისხლის სდის ნიაღვარი; ბოროტი გველი კოცონს ამზადებს, გოლგოთას ამკობს წამების ჯვარი.

შორს კი აჩრდილი განთიადს უხმას, ფრთა დაუშვია ზღვასა მქუხარეს... მხოლოდ ნიავე მომავალს უთხრობს გაცივებულს ნაშთს, წმიდა სამარეს:

„დიდებული მზე დაარღვევს ქვესკნელს, მდღლოს აკურებს უმანკობას; შენს სახეზედაც მოაფენს ნათელს, მკვდრებით აღადგენს ქრისტეს დიდებას.“

მოწაფე.

1909 წ. 20 ოქტემბერი

სასუფეველი ღვთისა \*)

„მოვედინ სუფევა შენი!“

ქრისტეს ქადაგება ერთნაირი უფლება მოსილებით ქუხდა და ხიბლავდა ზნეობრივ სიმშვენიერით, როგორც მდიდრულ საქმელებით გაწყობილ ფარისევლების სუფრზე, ისე წყნარ ქორწილში კანას და გალილეველ მეთევზეთა ღარიბ ტრაპეზზე. მთელი ქრისტეს, მოძღვრება ერთნაირად აღსაყვამი იყო უსაზღვრო და ყოვლის მიმტვევებელ სიყვარულით ხალხისადმი, ერთნაირად სწუხდა ის იმის ორგულობაზე, და ღრმად სწამდა იმის სულით განახლება, როგორც სიტხისაგან ამომწვარი იორდანის უდაბნოში, ისე ზურმუხტის ფერი ტიბერიის ზღვის კიდებზედ. იერუსალიმის შესავალთან, მრავალ ხალხში, ჯვარის სიმძიმის ქვეშ სამგლოვიარო გზაზე და თვით გოლგოთაზედაც.

უწოდებს რა ადამიანს უმაღლეს სულიერ მიზანთა სასამსახუროდ, სახარებას ამით უნდა მხოლოდ აგვაშალოს ჩვენ ნივთიერი ინტერესებზე, და არსად არ ასწავლის იმის ძაგებას, არსად არ უწოდებს იმით სარგებლობას დანაშაულობას. ის, ვინც შეხაროდა ველთა ყვავილების სიკვლეუცეს, ვინც გულის მწუხარების მძიმე წამებში განშორდებოდა ხოლმე და გეთსიმანიის ბაღის ნაძვების და მზეთის ხეების ჩრდილ ქვეშ, ყვავილია სურნელთაგანებით შეზავებულ ჰაერში მოკაშკაშე მთვარის სხივებს ქვეშ ღოკვილობდა, იმას არ შეეძლო აეკრძალა სხვებითვის ბუნების მშვენიერებით დატკბობა. არ კიცხავს აგრე-

\*) იხ. „ზინ. საქმ.“ № 28.

თვე გონიერს და შესაფერ სიამოვნებას ბუნების სიკეთით, ვინაიდან მან თითონ ნაზი სიხარულით მიიღო დედაკაცისაგან ძვირფასი მენელსაცხებლით ფეხთა ცხება და ამასთან დაუმატა: „ქეშმარიტად გეტყვი შენ, სადაც კი იქადაგება სახარება, მთელ ქვეყანაში იქნება მოხსენებული ამ ქალისსაქციელიც“. არა სახარება არ აცილებს ადამიანს გარეგან ქვეყანას, იმის სიხარულს და სიკეთეს, არ თხოულობს მასთან სრული კავშირის გაწყვეტას; იმას მხოლოდ სურს სულიერი დასაბამის ნივთიერებაზე ამაღლება. ის ამბობს: „ნუ შეიყვარებთ სოფელს, ნურცა იმას, რაც იმაშია, გულით და სულით ნუ მიეჯაკვებით იმას“. (იოან. 2 თ. 15 მ.) დეე გული, რომლის დანიშნულებაა წმინდა სიყვარულის და საუკუნო სიმათლის საკურთხეველად ყოფნა, თავისუფალი იქნეს ხორცის მოუხეშავ კერპებისაგან. ქრისტიანობა პირდაპირ ამბობს: „ვისაც უყვარს სოფელი (იგულისხმება ყოვლითა გულითა, ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა თვისითა), იმაში არ არის სიყვარული მამისა, მაგრამ არსად ამბობს, შემოქმედისადმი სიყვარულის გამო მის ქმნილებასთან მტრობის ქონებას.

იესო ქრისტემ სთქა: „ვისაც უნდა შემომიდგეს მე უარყოს თავისი თავი“ (მათ. 16 თ. 24 მ.), ესე იგი განთავისუფლდი ხეპრე ინსტინქტებისა და დაბალ მიდრეკილებისაგან, უარყავი შენი ძველი ცხოველური „მე“, შეიქენ ახალ სულიერ ადამიანად; მაგრამ იმას არ უთქვამს, „უარყავ, განშორდი სრულიად ყოველივეს, რაც შენ გარშემოა“ ბოლოს თავის სწავლას ის ასე ასრულებს: „ყველაფერი შექნილა ადამიანის სასარგებლოდ და სიამოვნოთ, მაგრამ არავითარი ქმნილება არ უნდა უფლებდეს ჩვენზე“.

ამიტომ მხოლოდ სახარების უცოდინარეებს, ანუ იმათ, ვისაც არ ესმით ის, შეუძლიათ სთქვან, რომ ვინომ ქრისტიანობა მტრულად ეპყრობოდეს ცხოვრებით დატკობას, სიამოვნებას და მის სამზიარულო მოველე-

ნებს. ბ. კოტლიარეცკი თავის წიგნის „მსოფლიოს მწუხარება“-ის წინასიტყვაობაში სწერს: „იერუსალიმიდან გამოსული ახალი ამბავი სასიხარულო იყო მხოლოდ იმისთვის, ვისაც შეეძლო ცხოვრების სიხარულის უარის ყოფა. ის ასწავლიდა ტანჯვის და მოთმინებას და ამისთვის აღუთქვამდა ჯილდოს ცათა შინა, იმას შეეძლო ადამიანის გაბედნიერება, მაგრამ აქ კი არა,—ცაზედ. საუკუნოთ გაუქრობელი ნათელი ბრწყინავდა ქრისტიანისთვის მხოლოდ ცაზე, და ეს სინათლე სულ არ აღწევდა დედამიწის მწუხარების ქალაში; რაც უფრო ღვივდა ადამიანში სარწმუნოების ალი იმდენათ იმის შეხედულება ამ ცოდვილ ქვეყანაზე უფრო უნუგეშო იყო. მოვიგონოთ ქრისტიანობის ხანის პირველი საუკუნოების ასკეტური იდეალები და საშვებლო საუკუნოები; მოვიგონოთ რეფორმაციული მოძრაობის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სისასტიკე. ღვთის მიერ სიხარული არ იყო სიხარულად ცხოვრებაზე“.

იმავე ავტორს ორი გვერდის შემდეგ ასე აქვს ნათქვამი: „ქრისტიანობის პირველი საუკუნოების და რეფორმაციული მოძრაობის ეპოქები აღნიშნულია ძლიერ პესიმიზტური მსოფლ-მხედველობის განწყობილების განვითარებით. შიში ქვეყნიურ ბოროტების წინაშე მაშინ ისე დიდი იყო ხალხში, ისე დიდი იყო თავის ცოდვილობის შეცნობა, რომ ცხოვრების უბრალო და უმანკო სიხარულსაც კი ფასი დაეკარგა. ამ უმწეობისა და დანაშაულობის შეცნობის გამო აქაურ არსებობას უცქერდნენ არა, როგორც მიზანს, არამედ როგორც გადასასვლელ კიბეს სხვა ზეციურ სისამართლო ცხოვრებაში გადასასვლელად. იმ ცხოვრების დაუსრულებლობის აზრში შთაინთქა ადამიანის ამ ქვეყნიური წამიერი ცხოვრების აზრი და სიმშვენიერე“. ქრისტიანობის ხასიათზე ასეთი მსჯელობა ძირითადათ შემცდარია.

პირიქით, სახარების სწორი გაგება და გვიარწმუნებს ჩვენ, რომ ყველა ფილოსოფოსურ და რელიგიოზურ მოძღვრებათა შორის ქრისტიანობის ცხოვრებაზე უფრო ნათელი და

მხიარული შეხედულება აქვს. ქრისტეს ქადაგება იწყება და თავდება ყველა გაქვირებულთა და ტვირთ მიამეთამოწოდებით უსრულესი სიხარლისადმი. საიდუმლო სერობაზე, მოციქულებთან გამოთხოვების დროს, ქრისტემ ასე დაასრულა სამი წლის ნაქადაგები: „ყველა ეს ნათქვამი მაქვს თქვენთვის, რათა დაადგრეს სიხარული ჩემი თქვენში და რათა იქნეს სიხარული თქვენი სრული“ (იოან. 15 თ. 2 მ.). თუ სახარებაში ხშირად არის ნახსენები ტანჯვა, ჯვრის ტვირთვა, ქრისტიანისთვის მწუხარების აუცილებლობა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ესენი ღვთის სასუფეველის განუშორებელ კუთვნილებას შეადგენენ, ეს არის მხოლოდ შედეგი ბოროტების სამეფოს მისდამი წინააღმდეგობის გაწვევისა. მოციქული პავლე კორინთელებს სწერს: „თქვენ შორის უნდა იქნეს სხვა და სხვა აზრიანობა“ (სებ. 11 თ. 19 მ.) ცხადია, აქ არის ლაპარაკი არა სასურველ საქიროებაზე, არამედ სამწუხარო აუცილობაზე. გზა ქეშმარიტებისადმი მიმყვანელი ძნელია, იმასთან მავალი მხოლოდ შეცდომებით და დაბნევით დავა და სხვა და სხვა აზრიანობა აუცილებელია, ასეთია გზა ღვთის სასუფეველისკენაც. უეკლოთ ვერ გავივლით იმას. ბოროტება ძლიერია ქვეყანაზე და უბრძოლელათ არ დათმობს თავის უფლებებს. ქეშმარიტების და სიყვარულის მებრძოლთა წინააღმდეგ ის წამოაყენებს ბოროტების მთელს ძალას. ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვა-წვალებანი, რომელთაც ქვიათ საზოგადო სახელი „ჯვარი“, ამ საქმეში აუცილებელია. ამას არც გოლგოთის ტანჯული ფარავს: „მე მდევნეს, აბობდა ის,—თქვენცა გდევნონ“, მაგრამ ამ დევნამ არ უნდა დაგალონოს თქვენ, არ უნდა დაგიბნელოს ნათელი იმედები, ვინაიდან იმას დაწყებული საქმის დანგრევა, ღვთის სასუფეველის მოწყობის შეჩერება არ ძალუძს. ვით ღამის წყვილიდი იფანტება მზის ამოსვლისათიანავე, ისე ბოროტება სიკეთის მომხიბლაობის წინ. ქაობის ნისლი, ნამწვავ ჩალისგან ასული კვამლი ხან და ხან დროებით ფარავს ხოლმე სხივოსან

მზეს, მაგრამ გადის დრო, ქარი ფანტავს ნისლს და კვამლს, მზეც ხელ ახლა სხივოსანდება და ბრწყინავს საუკუნო სიმშვენიერით. მზაკრობამ, უსამართლობამ ქრისტე ჯვარზე გააკრა, აღიყვანა გოლგოთაზე, ჩაფლა საფლავში, დასდვა მანე დიდი ლოდი, დაბეჭდა და მცველები მიუყენა და შურისგან მთვრალი კიდევაც დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას, მაგრამ გავიდა ორი დღე, იმათ სიხარულს ბოლო მოეღო, ქრისტე აღსდგა და მასთან აღსდგა სიმართლე. არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელმაც სრულებით სძლიოს ქვეშაობა, ვერ იპოვით ისეთ დაბრკოლებას, რომელმაც სამუდამოთ შეაჩეროს ქვეშაობის მსვლელობა გამარჯვებულ სიყვარულის ქვეყანაში. განა შეიძლება რაიმე უფრო ნათელი და მხიარული, ვინემ ეს რწმენა ქვეშაობის, სიყვარულის და სიკეთის გამარჯვებაში. ასეთი რწმენით განმტკიცებული ადამიანები აღფრთოვანებული შესტკერია სიკვდილის თვალებში. ზოხლით მიდიან კაცონებზე და ჯალათების ხელში შესძახებენ: „უკეთესია მართალთან ტანჯვა, ვინემ უსჯულოებთან სიამუნობა.“ თავის იღვის გამარჯვების - რწმენაში ისინი ჰპოებენ ძალას, თავის პირადი დამარცხების გადატანაში.

ნახეთ ძველი ქრისტიანების კატაკომბები, იქ განისვენებს ათასობით წამებულთა ნეშტები, დამტვრეული წვლების დროს, მხეცების მიერ დაფლეთილი კონკონზე ბუძელილი, (?) აუარებელ სამღვთო გამოხატულებათა შორის კედლებსა და საფლავებზე, ერთსაც ვერ ნახავთ ისეთს, რომელიც უჩვენებდეს განსვენებულთა ცხოვრების სიმწარეს და იმათმიერ სიკვდილის დროს გამოვლილ საშინელებას. მშვიდი მტრედი, კეთილი მწყემსი, კრავი, ყვავილები, ვენახის რტო, ყველა ეს ნათელი და დამამშვიდებელი ნიშნებია. მაშასადამე, აქაც, საფლავების გუმბათების ქვეშაც კი, წამებულთა კნესანი შეზავებულნი იყვნენ გამარჯვებული სიყვარულის სასიხარულო ჰიმნში. ქვეყანაზე სახარების დღის განთიადის მოახლოების განსტკრეტა ავიწყლებოდა ქრი-

სტიანებს; თავის მწუხარებას და დაბრკოლებას. იმათ იციან, რომ ღვთის სასუფეველი ძალით აიღების (იიძულების), დიდი შრომით, ბევრი მსხვერპლით მოიპოვების და მხოლოდ ვინც იიძულებს, ის მიიღებს იმას. (მათ. 11 თ. 12 მ.), ამიტომ არ აშინებდა იმათ ბრძოლანი დ პირადი ტანჯვანი.

ღვთის სასუფეველისთვის დაღვრილი თვითეული ცრემლის, ოფლის თვითეული წვეთის საფასით ისინი იძენდენ იმისთვის ახალს წესია ალაგს და ეს იმათი შრომის ას წილი დაჯილდოება იყო. როგორც ნიქიერი მოქანდა რომელიც ხედავს, რომ მის ხელში თიხა ღებულობს სასურველ ფორმას, რომ მისი იღვა ხორციელდება ქანდაკებაში, გრძობს აღფრთოვანებას, ისე სახარების მოღვაწეც, რომელიც აწყობს თავის ცხოვრებას ქრისტეს მიერ მოცემულ სახის მსგავსად, ღვთის სასუფეველის წარმატებაში პოულობს ნეტარების დაუშრეტელ წყაროს. ქრისტიანების ცხოვრების ასეთ სიხარულთან შედარებით, როგორ საცოდავად და საძაგლად წარმოვიდგება ძველი ქვეყნის მხიარულება, ვარდებით შემკული და გარემოცული ბახუსის მსახურ ქალებით ღვინის სასმელებით ხელში. როგორ გაიზრდებოდა ეს კმაყოფილება ცხოვრებით, რადართო ზვირთებივით მოიცავდა ის მთელ ქვეყანას, რომ ღვთის სასუფეველი ადამიანების გულში დამყარებული იყოს საგვებით? პოლიარულ ქვეყნებში მზე წელიწადში მხოლოდ რამდენიმე დღეს ათბობს, მაგრამ ეს საკმაოა რომ ცხოვრება გამოცოცხლდეს. ქაობები ნოხივით დაიფარვის ხეხილებით და მცენარეობით, რომლებზედაც მილიონობით ასქლებიან ფრინველები და მოცვივა ირემთა ჯოგები. მზე რომ თავის მდგომარეობას არ იცვლიდეს ამ ქაობების მიმართ, ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში დაიფარებოდა მდიდარი მცენარეულობით, გადაიქცეოდა კარგ საყვებავ საძოვრად, და გააშენებდენ იმათზე ქალაქებს. ასეა ჩვენს ცხოვრებაშიაც. ქრისტეს სიყვარული რომ არ იყოს იმაში შემთხვევით სტუმრათ, არაიშვიათათ აფეროვნებდეს იმას თავის

ბრწინვალეებით, არამედ წარმოადგენდეს იმის ძირითად კანონს მუდამ მათ მამოძრავებელად, მაშინ მხიარულების ნათელი დღე გაციკროვნდებოდა ქვეყანაზე და ადამიანის გული შეიქნებოდა ღვთის სასუფეველად. „მოვედინ, უფალო, სუფევა შენი“!

ვ. ხ - ძე.

(დასასრული)

## სოციალისტური ოცნებები.

(კატრინიდან).

სოციალისტების მეთაურები თავის მიმდევართ ჰპირდებიან ოქროს მთებს. რაც შეიძლება ნაკლები შრომა და მომეტებული განცხრომა — აინამდვილი არსება სოციალიზმისა.<sup>1)</sup> ეს სჩანს, მაგ., ბებელის წიგნიდან „ქალი“, რომელსაც დაცინვით, მაგრამ სამართლიანად კი უწოდებენ „მწვანებულებეკრად“\*) უტოპიის ქვეყნისა.

თუ ამ ხალხის დამცველს დაუჯერეთ, შრომა სოციალიზმში თითქმის დასვენებაა, რადგანაც მშვენიერი მოწყობილობა იქნება და აგრეთვე მიტომ, რომ მუდამ გამოიცვლებიან შრომის სხვა და სხვა ფორმები: მეტი წილი შრომისა გარდიქცევა გასართობ „თამაშობად“. ამასთან, გაერთებულ წესიერ განწყობილების და საწარმოვო იარაღის გონივრულად მოხმარების გამო, შრომა იმდენად ნაყოფიერი გახდება, რომ დღეში ორი-სამი

1) სხვა შემთხვევებში ფთხილმა მარქსმა აქ თვითონ გვიჩვენა მაგალითი. კომუნისტური საზოგადოების უმაღლესს საფეხურზე თვითეული ცალკე ინდივიდუუმი „ყოველმხრივად ვითარდება“, „სახალხო სიმდიდრის ყველა წყაროები, მისი აზრით, ბარაქიანად წამოვლენ“. კაუტსკის აზრით (Das Srfurter Pragramm 163) გასახვლა კაპიტალისტური წარმოებიდან სოციალისტურზე „გამოიწვევს უთუოდ სწრაფს და შესამჩნევს ვადიდებას ყოველწილიური ნაყოფის შემუშავებისას.“  
\*) „ბედეკერი“ — გზის მარეწებელი, გზა.

საათის მუშაობა კმარა საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.<sup>2)</sup> „პირად, ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეთანხმებული იქნება საზოგადო სიკეთის მოთხოვნებთან და ერთი მეორეს დაფარავს.“<sup>3)</sup> ზარბაცები სულ აღარ იქნებიან, თვითეულის ზნეობითი ატმოსფერა ყველას გახდის დამთმობად, „აგრძობინებს სხვის უპირატესობას“<sup>4)</sup>; მოისპობა „გარჩევა ინტელიგენტთა და უმეცართა შორის“<sup>5)</sup> გაჩნდება მთელი ქვეყანა მიდრეკილებათა და ნიქთა, რომლების არსებობა უწინ ექვდაც კი არ მოსვლიათ“, რომლებსაც სთურგნიდა წარმოების კაპიტალისტური სისტემა.<sup>6)</sup> ეხლა აღარ იციან რა „პოლიტიკური და საზოგადოებრივ ბრალდება — დანაშაულებზე“<sup>7)</sup>, ყაზარმებს და სხვა შენობებს, რომლებიც დანიშნულ არიან სამხედრო საჭიროებისათვის, სამსაჯულო და სასამართლო დაწესებულების შენობებს, სატუსალოებს და სხ. მიეცემთ სხვა უკეთესი დანიშნულება, ერთი ერთი მეორეს აღარ მტრობს, აქეთ ძმური დამოკიდებულება ერთმანეთში, დადგება ხანა „საუკუნო მშვიდობისა“, უკანასკნელი საომარი იარაღი გარდიცემა სიძველეთ საცავში, ურთიერთ შორის მშვიდობით მცხოვრები ერები თანდათან ამალდებიან კულტურის საფეხურზე.

მიწათ მოქმედება დაყენებული იქნება უმაღლეს წერტილზე. გაყვანილი იქნება არხები, მშვენიერი გზები, გაშრობილი იქნებიან ქაობები და საფლობი ადგილები. სოფლებშიც, მსგავსად ქალაქებისა, გამართული იქნება მუზეუმები, თეატრები, საკონცერტო დარბაზები, დარბაზები სათამაშოთა და გასართობთათვის, სასადილოები, სამკითხველოები, წიგნთ საცავები, განმანათლებელი დაწესებულებანი<sup>8)</sup>,

2) თავისი წიგნის პირველ გამოცემაში ბებელი საკმარად სთელის დღეში სათანჯერის ან ორი საათის მუშაობას; ასევე ჰფიქრობს გერტცკა (Gesellschaftliche Bewegung, 1886 წ. 60). კაპიტალისტის აზრით (La Conquête du pain, Paris, 1892 წ. 274) მომავლ საზოგადოებში სამუშაო დღე გარკვეულდება ხუთი საათი.

3) ქალი 351; 4) იქვე 369; 5) იქვე 369.  
6) ქალი 369; 7) იქვე, 405; 8) იქვე, 401.

ზალები, სასერირო ადგილები, საბანაოები, ლაბორატორიები, საავადმყოფოები და სხვა. თვითეულს შეეძლება ყველა ამითი ისარგებლოს თავისუფლად.

სოციალიზმში იზრუნებენ, აგრეთვე, კაცის ჰარმონიულ განვითარება—განათლებაზე. იქნება სიმრავლე ყოველ ჯურის სწავლულთა და მხატვართა. გაჩნდება ათასობით ბრწყინვალე ტალანტები, მემუსიკეები, მსახიობები, მხატვრები, სწავლულები არა პროფესიით, რადგანაც ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა წარმოებაში, არამედ მოწოდებით გენიოსი და ტალანტიანი კაცები. „დადგება ხანა მეცნიერებისა და ხელოვნებისა, როგორც ჯერ არაოდეს არ უნახავს ქვეყანას და საკვირველნი იქნებიან ქმნილებანი ამ მეცნიერებისა და ხელოვნებისა“<sup>9)</sup>. თვითეულს შეეძლება დააკმაყოფილოს ლტოლვილება სხვა და სხვაობისადმი<sup>10)</sup>. თვითეულს თუ მან მისცა საზოგადოებას შესაფერი შრომა, შეუძლიან გაიმართოს საკანკულო მოგზაურობა“<sup>11)</sup>. ნახოს სხვა და სხვა მხარეები, ქვეყნის ნაწილები, შეუერთდეს ექსპედიციებს და სხვა და სხვა სახალშენო გამოკვლევებს, რომლებიც მრავლად იქნებიან<sup>12)</sup>. მოკლედ რომ ვსთქვათ: „რალა გინდა მეტი, გულო? ეხლა პირველად მიიღწევს კაცობრიობა განათლების უმაღლესს ხარისხს. ბოლოს მაინც დადგება ოქროს ხანა, რომელზედაც კაცობრიობა ოცნებობდა და ოხრავდა ათასი წლების განმავლობაში“<sup>13)</sup>.

კაუტსკიმაც იწყო მოგზაურობა მომავალის სახელმწიფოს დიდებულს ქვეყანაში და დაუხატა მუშებს მშვენიერი სურათი ამ რძით და თაფლით გამომდინარე ქვეყნისა. სოციალიზმში „მოუტანს კაცობრიობას უშიშრობას, მოსვენებას, დასვენებას, ის ამალღებს კაცის სულს ყოველდღიურ წვრილ ინტერესებზე,

<sup>9)</sup> ქალი 364; <sup>10)</sup> იქვე 420. <sup>11)</sup> იქვე 424.

<sup>12)</sup> იქვე 335. უახლოეს გამოცემაში ბებელმა ამოწალა, „საკანკულო მოგზაურობა“. ბებელისავეთ ი. შტერნიც ოცნებობს მომავალ სოციალისტურს სასამოთხის შესახებ.

<sup>13)</sup> ბებელი ქალი, 441.

. . . . იგი პიროვნებას დამოუკიდებლად ჰყოფს, ის იმავე დროს, მოსპობს გარჩევას ქალაქსა და სოფლის შორის, ხელმისაწოდმათ გახდის ხალხისთვის მდიდარი კულტურის საუნჯეს და დააბრუნებს მათ ბუნებასთან, რომლიდანაც ისინი აღმოივსებენ ძალას და სიმხიარულეს“. „ზოგიერთს ის იხსნის სიგლახაკისა და დაჩავევისაგან, ზოგს კიდევ ნაყოფებისაგან, ყოველივე, რაც წინააღმდეგია ბუნებისა, ხდის კაცს მხიარულად, სიმშვენიერის დაშვების დამფასებლად, ამასთანავე ის ყველას ანიჭებს თავისუფლებას მეცნიერულს და სამხატვრო შემოქმედებაში“. ჩნდება „ზეკაცი“, რომელიც აღემატება აქამდე არსებულს კაცთა ყველა უმაღლესს ტიპებს, ამასთან ეს ზეკაცი იქნება არა გამონაკლისი, არამედ საზოგადო კანონი, ის იქნება ზეკაცი შედარებით თავის წინაპართან და არა თავის ამხანაგებთან, თანამედროვეებთან. ეს იქნება კაცი მაღალი სულისა, რომელიც ეძიებს კმაყოფილებას... მაში, რომ იყოს დიდი დიდთა შორის, ბედნიერი ბედნიერთა შორის, რომელიც აღმოივსებს ძალის შეგნებას მისგან რომ... კავშირი თანასწორ, ერთ მიზნისკენ მიმავალ კაცებთან აძლევს მას მხნეობას ხელი მიჰყოს უდიდეს პრობლემათა გადაწყვეტას. ჩვენ ამ რიგად ნება გვაქვს ველოდდეთ რომ დადგება სამეფო ძლიერებისა და სიმშვენიერისა, ჩვენ უღრმეს და უკეთილშობილეს მოაზრეთა იდეალების ღირსი“<sup>14)</sup>.

ნაცარკანელი.

ვის რ დაახამს თავბრუს ასეთი მახმადისებური სამოთხე?

რედ.

<sup>14)</sup> რევოლიუციის მეორე დღეს, 48.

რას აკეთებს სარწმუნოებას მოკლებული სინიდიხა?

თუმცა თანა მედროვე განათლებულ საფრანგეთში არ არის განრჩევა ბიწიერებასა და სათნოებაში, სიკეთესა და ბოროტებაში, თუმცა ფრანცუზებმა კაი ხანია უარიჰყვეს და დაჰკარგეს შინაგანი სჯულის—სინდისის ხელმძღვანელი სარწმუნოება მისი ზნეობრივი დოღმებით, მაგრამ სინიდიხი, როგორც ღვთისაგან დადგენილი შინაგანი სჯული, მაინც თავისას შვრება და არ იძლევა ნებას ბოლომდის განშიშვლდეს ბიწიერება. იგი არ აძლევს ფრანცუზს უფლებას გამოააშკარაოს თავისი გულის სიბილწე და ზნე-დაცემულობა. საფრანგეთში, როგორც ვიცით, უკიდურეს ზომამდე მისული ეგრეთწოდებული თავისუფალი სიყვარული, ეს ღვიძლი შვილი დღევანდელ მარტირიალისტურ მსოფლ მხედველობის. მაგრამ ჯერ კიდევ ამ მარგალიტს აბნელებს სინიდიხი, ჰკიცხავს და ბურუსში ხვევს მას. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თავისუფალ სიყვარულის გამოსაცხადებლად თავისუფალ პრესაში ფრანცუზები ხმარობენ სხვა და სხვა პაემნებს. ფრანგულ გაზეთ „Jouznal“.

დასტამბულია შემდეგი პაემნური წერილები თავისუფალ მოსიყვარულეთა: M. M. მომწერეთ. ადრესი ძველია. დანიშნე rendez-vous. Andre 9. მივიღე წერილი, ოთხშაბათს, მერე არაფერი. ძალიან შეწუხებული ვარ. ჩამოვიდა. ყველაფერი მივალაგე. სალამი. B. II. შენი სიჩუმე მკლავს და სულს მიხუთავს!... ერთი სიტყვა. Marceau ჩქარა მომავლადე ახალი ამბები. არ შეიძლება წერა, სანამ ახალ ადრესს არ ვნახავთ. შენ იგივე ადრესით. ამბორი შენი პაემნისაგან.

ასეთ და ამისთანა ცივილიზაციის მარგალიტებს ბევრს შეხვდებით თურმე ფრანგულ გაზეთებში და დიდ შემოსავალსაც აძლევენ თურმე ასეთი წერილები რედაქციებს. კომენტარები მეტია....

ხელი.

ჯორის პასუხი.

(გამოცანა).

ჯორი შეხვდა გამომცემელს, არ გადუდგა გზაზედ პატრონს; ეტყობა, რომ არად ავდებს ძველს სიკეთეს და ძველ ნაშრომს.

პატრონი კი მიესალმა, თავზედ უსვამს მზრუნველ ხელებს; იხსენებს მის ღვაწლს, ნაამაგს და უკოცნის თავს და თვალებს.

ბოლოს მაინც გული დასწყდა. ხედავს რა მის გულ-გრილობას, საყვედურით სალამს აძლევს და უწუნებს მას ზრდილობას:

„სანამ მყავდი ჩემს თავლაში ხომ არ გრძობდი წყურვილს, შიმშილს? ყველას შენ გამსახურებდი ჯალაბობას, ცოლსაც და შვილს...“

და ეხლა კი, თითქოს ვერ მცნობ, შორს მიდგები ძველს მასპინძელს; ნაამაგის დამწიხვლელი,

რალას ეტყვი კაცს ან შენს ღმერთს!?! — ეგ რა უყოთ, ჯორმა უთხრა, დროს მივსდევ და არ ვღალატობ; ვინც გამაძებს იმისი ვარ— ვერ ხედავ რომ ვდემოკრატიზმ?!.

კარგია რომ წიხლს არ გესერი, წინ მიდგებარ, ვერ ვარ მარჯვეთ... ამაგისთვის მაღლს არ გეტყვი ტყვილა რისთვის დაისაჯეთ!

აღმზღველების დაწიხლვაში ვივარჯიშე მე მრავალ წელს,

ამ ღარგში არ-ვიჯობნიებ  
 ჩ-ქეს არც კ-ს წ-ლს.  
 გ-საც გაღვაქარბებ,  
 თუმცა ნამეტნავად მალლობს,  
 უზრდელს პასუხს მოგცემ, როგორც  
 გ-რი ხომიაკოვს.

1908 წ. 9 აგვისტოს.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მხედლიძე**.  
 გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

### დაიბეჭდა

შემდეგი ბლანკები:

### კლირთვის უწყებები

ახალი ფორმისა

თანახმად უწ. სინოდის ნაჩვენებ ნიმუშისა.

### კანტრაკტი

საეკლესიო მამულების იჯარით გასაცემად.

### სავაჭრო ფურცელი

(Торгов. листъ)

### ჯილდოს ფურცელი

(Наградн. листъ).

### გოიკითხეთ

იმერეთ. წმ. გიორგის სარწმ. განმ. „ძმობის“

### სტამბაუი

ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩაზე, ს. კირიშჩევის  
სახლში (გუბერნატ. კანც. ქვეშ).

### გამოვიდა ახალი

# წიგნაკები

Z. გამტემა იმ. ეპარქ. წმ. გიორგის სარწმუნოებრივ-  
განმანათლებელ „ძმობისა“.

№ 1

სწამთ თუ არა მყენიერებს  
ღვთის არსებობა?

№ 2

### წიგნი წიგნთა.

(სვეტლოვიდან)

თარგმ. ნაცარყანელისა.

თითო წიგნაკის ფასი ერთი შაურა.

### ვაგადაღებ

### სამღვდელთა & საღვთისმეტყველების

საგნეუი,

ავრეთვე სამასწავლებლო

ეგზემენის ასაღებად.

აღრესი: ქუთაისი, კახაკოვის ქუჩა, № 17.